

ევროპული კონვენცია

საგ ზაო დანაშაულებებზე სასაჯელის შესახებ

სტრასბურგი, 1964 წლის 30 ნოემბერი

პრეამბულა

ქვემოთ ხელისმომწერნი, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები

ითვალისწინებენ რა, ევროპის სახელმწიფოებს შორის საგ ზაო მოძრაობის გადატვირთვას და ან საშიშროებას, რომელიც გამოწვეულია მე ზაგროთა დასაცავად შემოღებული წესების დარღვევით: თვლიან რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა;

ადიარებენ რა, ერთობლივი თანამშრომლობის აუცილებლობას, მათ ტერიტორიაზე ჩადენილი საგ ზაო

დანაშაულებებზე შესაბამისი სასაჯელის დადგენის მიზნით,

შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

თავი 1

ძირითადი პრინციპები

მუხლი 1

1. თუ ერთერთი ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე ჩვეულებისამებრ მცნოვრები პირის მიერ

მოერე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე ჩადენილია საგ ზაო დანაშაული, დანაშაულის ჩადენის

სახელმწიფოს შეუძლია ან თუ მისი მუნციბალური კანონი ამას მოითხოვს, ის ვალდებულია მოსთხოვოს ადგილსამყოფელ სახელმწიფოს დაიწყოს სამართალწარმოება, თუ თავად მას არ დაუწყია ასეთი ან თუ დაიწყო, მაგრამ მიიხსნეს, რომ ვერ შეძლებს მის საბოლოო გადაწყვეტილებამდე მიყვანას ან სასაჯელის აღსრულებას.

2. თუ განაჩენი ან ადმინისტრაციული განდაწყვეტილება განდა აღსრულებადი დანაშაულის ჩადენის

სახელმწიფოში, მას შემდეგ რაც დამნაშავეს მიეცა საშუალება დაეცვა თავი აყვანის შემდეგ, ამ

სახელმწიფოს შეუძლია მოსთხოვოს ადგილსამყოფელ სახელმწიფოს აღნიშნული განაჩენის ან გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა.

3. ადგილსამყოფელი სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართალწარმოებას ან განაჩენის სისრულეში

მოყვანასთან დაკავშირებით ნებისმიერი მოთხოვნის შესრულებას. სასაჯელის აღსრულება გამოუცნადებლობის შემთხვევაში არ არის საგალდებული.

მუხლი 2

1. ის საგ ზაო დანაშაული, რომლის გამოც პირველი მუხლის თანახმად მოთხოვნილი იქნა საქმის

ადგენა ან სასაჯელის აღსრულება ის საგ ზაო დანაშაული, რომელთან დაკავშირებითაც მონდენილია

სამართალწარმოება ან აღსრულება პირველი მუხლის შესაბამისად უნდა იყოს დასჯადი როგორც

დანაშაულის ჩადენის, ასეუ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში, როგორც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს, ასეუ დანაშაულის ჩადენის სახელმწიფოს კანონმდებლობით.

2. სასაჯელის გამოტანის ან აღსრულების მიზნებისათვის გამოიყენება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობა და მოქმედებს მხოლოდ ის საგ ზაო წესები, რომლებიც ძალაშია დანაშაულის ჩადენის ადგილზე.

თავი 2

სამართალწარმოება ადგილსამყოფელ სახელმწიფოში

მუხლი 3

ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ხელისუფლება უფლებამოსილია დანაშაულის ჩადენის სახელმწიფოს

მოთხოვნით აწარმოოს საქმე ამ უკანასკნელი სახელმწიფოს ტერიტორიებზე ჩადენილ დანაშაულზე.

მუხლი 4

ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები განიხილავენ მათთვის პირველ და მე-2

მუხლების თანახმად მიწოდებულ სამართალწარმოების შესახებ ნებისმიერ მოთხოვნას და თავიანთი

კანონმდებლობის შესაბამისად, გადაწყვეტენ თუ რა ქმედება იქნეს განხორციელებული.

მუხლი 5

1. როდესაც დანაშაულის ჩადენის სახელმწიფო პირველი მუხლის თანახმად, წარადგენს მოთხოვნას

სამართალწარმოების დაწყების შესახებ, მას არა აქვს უფლება თავად აწარმოოს საქმე ან ადასრულოს გადაწყვეტილება დამნაშავის მიმართ.

2. მას შეუძლია განახლოს სამართალწარმოება ან აღსრულება:

ა) თუ ადგილსამყოფელი სახელმწიფო აცნობებს დანაშაულის ჩადენის სახელმწიფოს, რომ მას არ

მიუღია ზომები მისი მოთხოვნის შესაბამისად

ბ) თუ შემდგომში აღმოცენებული ვარაუძობების საფუძველზე, ის აცნობებს ადგილსამყოფელ სახელმწიფოს თავისი მოთხოვნის გაუქმების შესახებ, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის

მოსმენის დაწყებამდე ან ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ადმინისტრაციული გადაწყვეტილების გამოტანამდე.

მუხლი 6

1. სამართალწარმოების შესახებ მოთხოვნაში მოყვანილი უნდა იქნას კომპეტენტური ხელისუფლების

მიმართვის თარიღი.

დანაშაულის ჩადენის სახელმწიფოში სამართალწარმოება შეწყდება სწორედ ამ თარიღიდან და კვლავ განახლება შეტყობინების მიღების თარიღიდან მე-5 მუხლი 2 ა) და ბ) პუნქტების თანახმად,

რომელშიც აღნიშნულია, რომ არანაირი ზომები არ იქნა მიღებული ან რომ მოთხოვნა გამოტანილია

ნებისმიერ შემთხვევაში, სამართალწარმოების შესახებ მოთხოვნიდან 6 თვის განმავლობაში.

2. ადგილსამყოფელ სახელმწიფოში გასამართლებაზე დროის ლიმიტი დაიწყება მხოლოდ სამართალწარმოების შესახებ მოთხოვნის მიღების თარიღიდან.

თუ ამ სახელმწიფოში სამართალწარმოების დაწყებისათვის აუცილებელია დაზარალებულის მხრიდან

სარჩელის შეტანა ის დროის ლიმიტი, რომლის განმავლობაშიც ასეთი სარჩელი უნდა იქნეს შეტანილი დაიწყება სამართალწარმოების შესახებ მოთხოვნის მიღების თარიღიდან.

მუხლი 7

დანაშაულის ჩადენის სახელმწიფოს სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ შედგენილ დოკუმენტებს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ექნებათ, იგივე იურიდიული ძალა როგორც

ექნებოდათ მათ ამ უკანასკნელი სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ შედგენის შემთხვევაში და

ვიცე

გერსა.

თავი III

აღსრულება ადგილსამყოფელ სახელმწიფოში
მუხლი 8

ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ხელისუფლება უფლებამოსილია, დანაშაულის ჩადენის სახელმწიფოს

მოთხოვნისამებრ, მოცემული კონვენციის 1.2 მუხლის შესაბამისად გამოიტანოს სასჯელი. სასჯელი

გამოტანილ იქნება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად და დაექვემდებარება მოთხოვნისა და კონვენციასთან მისი შესაბამისობის დადასტურებას.

ადგილსამყოფელი სახელმწიფო უფლებამოსილია მსჯავრდებული გაანთავისუფლოს პირობით. შეწყალების უფლება აქვს როგორც ადგილსამყოფელ სახელმწიფოს ასევე დანაშაულის ჩადენის

სახელმწიფოს.

მუხლი 9

1. აღსრულება ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არ მოხდება:

ა) თუ დამნაშავის იმავე დანაშაულისათვის უკვე შეეფარდა საბოლოო გადაწყვეტილება ამ სახელმწიფოში;

ბ) თუ სასჯელის გამოტანის ვადა გასულია ერთერთი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) თუ დამნაშავემ ისარგებლა ამნისტიით ან შეწყალებით ერთერთ სახელმწიფოში.

2. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას აღსრულებაზე:

ა) თუ ამ სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანოებმა გადაწყვიტეს არ დაიწყონ საქმის ან თუ შეწყვიტენ უკვე დაწყებულ ძიებას იმავე ქმედებასთან მიმართებაში;

ბ) თუ ქმედება, რომელზეც უკვე გამოტანილია განაჩენი, ექვემდებარება ძიებას ამ სახელმწიფოში;

გ) თუ ეს სახელმწიფო მიიჩნევს, რომ აღსრულება ზიანს მიაყენებს მისი იურიდიული სისტემის საფუძვლებს, ან თუ ის შესაბამისობაში იქნება მის საკუთარ სისწლის სამართლის კანონმდებლობასთან, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში თუ მისი ასაკის გამო, დამნაშავეს არ შეიძლება შეეფარდოს სასჯელი.

მუხლი 10

1. 2 მუხლის თანახმად სასჯელის აღსრულებას (ჯარიმის ვარდა) მოთხოვნის შემთხვევაში, ადგილსამყოფელ სახელმწიფოს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია შეცვალოს დანაშაულის ჩადენის

სახელმწიფოში გამოტანილი სასჯელი იმ სასჯელით, რომელიც მსგავსი დანაშაულისათვის დადგენილია ადგილსამყოფელ სახელმწიფოში.

ეს სასჯელი შეძლებისდაგვარად უნდა შეესაბამებოდეს იმ სასჯელს, რომლის აღსრულებაზეც წარმოდგენილია მოთხოვნა. ის არ უნდა აღემატებოდეს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობაში გათვალისწინებულ მაქსიმალურ სასჯელს და არ უნდა იყოს უფრო ნანგრძლივი

ან მკაცრი, ვიდრე დანაშაულის ჩადენის სახელმწიფოს მიერ გამოტანილი სასჯელი, სასჯელის დადგენისას ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ

ის მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც ამ სახელმწიფოში ხდება სასჯელის სისრულეში მოყვანა.

მუხლი 11

ჯარიმის აღსრულების შესახებ მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, ადგილსამყოფელი სახელმწიფო

თავისი კანონმდებლობის შესაბამისად, ამოიღებს მაქსიმალურ თანხამდე დასაშვებ ნებისმიერ თანხას,

რაც გათვალისწინებულია მის სახელმწიფოში მსგავსი დანაშაულისათვის ან იმ თანხას, რომელიც

ადგილსამყოფელ სახელმწიფოში დაწესებულია მსგავსი დანაშაულისათვის.

მუხლი 12

ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შეუძლია დანაშაულის ჩადენის სახელმწიფოს მოთხოვნისამებრ მიმართოს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ იძულებით ან სხვა შესაბამის ზომებს.

ადგილსამყოფელ სახელმწიფოს არ შეუძლია მიმართოს იმ იძულებით და სხვა შესაბამის ზომებს,

რომლებიც მოიცავს დანაშაულის ჩადენის სახელმწიფოში გამოტანილი განაჩენით დამნაშავეს დაპატიმრებას, თუ ამას არ არსებობს ამ სახელმწიფოს მოთხოვნა.

მუხლი 13

დანაშაულის ჩადენის სახელმწიფოს არ შეუძლია დამნაშავეს წინააღმდეგ მიღებული ნებისმიერი

გადაწყვეტილების აღსრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადგილსამყოფელი სახელმწიფო

მას აცნობებს თავის უარს აღსრულებაზე ან შეატყობინებს, რომ არ შეუძლია თვითონ აღასრულოს

გადაწყვეტილება.

თავი IV

ძირითადი დებულებები

მუხლი 14

1. წინამდებარე კონვენციის 1 მუხლის თანახმად მოთხოვნები წარდგენილ უნდა იქნას წერილობითი

ფორმით.

2. სამართალწარმოების შესახებ მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს დანაშაულთან დაკავშირებული

ყველა განცხადების, სქემის, ფოტოსურათის და სხვა დოკუმენტის დედანი ან ასლი და იმ იურიდიული დებულებების ასლი, რომლებიც ვრცელდება დანაშაულის ჩადენის სახელმწიფოში მომხდარ დანაშაულზე. ასევე წარმოდგენილი იქნება დამნაშავეს საქმის ჩანაწერების, ძიების პერიოდთან დაკავშირებული საკანონმდებლო დებულებების, ვადის შეწყვეტასთან დაკავშირებით

მიღებული დადგენილებების ასლები.

3. სასჯელის გამოტანის მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს დანაშაულის ჩადენის სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად სისრულეში მოსაყვანი გადაწყვეტილების დედანი ან დამოწმებული

ასლი. როდესაც ის გადაწყვეტილება, რომლის სისრულეში მოყვანაზეც წარმოდგენილია მოთხოვნა

ცვლის სხვა გადაწყვეტილებას ფაქტების წარდგენის გარეშე, თანდართული უნდა იყოს გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი, რომელიც შეიცავს ამ ფაქტებს.

მუხლი 15

1. ამ მოთხოვნებს დანაშაულის ჩადენის სახელმწიფოს იუსტიციის სამინისტრო გაუგზავნის ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იუსტიციის სამინისტროს, ხოლო პასუხი მიწოდებულ იქნება იგივე

არსებით.

2. ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია წინამდებარე კონვენციის საფუძველზე შეიძლება გაიცვალოს ან

წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული არსებით ან პირდაპირ ხელშეშემკერედი მხარეების

ხელისუფლებებს შორის.

3. აუცილებლობის შემთხვევაში, წინამდებარე მუხლის მეორე პუნქტში მოცემული ინფორმაცია

შეიძლება მიეწოდოს "ინტერპოლის" გზით.

4. თითოეულ სელშემკვერელ მხარეს შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე წარდგენილი განცხადებით, განაცხადოს ახალი წესების მიღების სურვილი წინამდებარე მუხლის 1 და

მე-2 პუნქტებში აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

მუხლი 16

თუ ადგილსამყოფელი სახელმწიფო მიიჩნევს, რომ დანაშაულის ჩადენის სახელმწიფოს მიერ მისთვის

მიწოდებული ინფორმაცია არ არის საკმარისი კონვენციის განსახორციელებლად, მას შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია და დაადგინოს ვადა ამ ინფორმაციის მისაღებად.

მუხლი 17

სელშემკვერელი მხარეები უფრო მასშტაბურად დაეხმარებიან ერთმანეთს სისხლის სამართლის საქმეებში იმ ღონისძიებების განხორციელების მიზნით, რომლებიც საჭიროა წინამდებარე კონვენციის

მიზნებისათვის; ეს დახმარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოტანილი დადგენილებების გადაცემას და ბრძანებულებების შესრულებას, ეს უკანასკნელი ზომა არ არის იძულებითი.

მუხლი 18

ადგილსამყოფელი სახელმწიფო დაუყოვნებლივ შეატყობინებს დანაშაულის ჩადენის სახელმწიფოს იმ

ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ვატარდა ამ სახელმწიფოს მიერ სამართალწარმოების ან აღსრულებაზე მოთხოვნის საპასუხოდ და ნებისმიერ ამ შემთხვევაში გაუგზავნის დანაშაულის ჩადენის

სახელმწიფოს საბუთს, რომელიც ადასტურებს, რომ სასჯელი იქნა აღსრულებული და ასევე, სამართალწარმოების შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილების ავთენტურ ასლს.

მუხლი 19

1. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების გათვალისწინებით საჭირო არ არის კონვენციის

გამოყენებასთან დაკავშირებული მოთხოვნების ან სხვა თანდართული საბუთების თარგმნა.

2. თითოეული სელშემკვერელი მხარეს სელმთწერის ან რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების შესახებ

ინსტრუმენტის დებონირების დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე ვაგზავნილი

განცხადების დაიტოვოს უფლება მოითხოვოს, რომ მოთხოვნებსა და შესაბამის დოკუმენტებს თან

ერთვოდეს თარგმანი მის საკუთარ ენაზე, ან ევროპის საბჭოს რომელიმე ოფიციალურ ენაზე, ან მის

მიერ შემოთავაზებულ ნებისმიერ ენაზე. სხვა სელშემკვერელ მხარეებს შეუძლიათ წარადგინონ ოფიციური მოთხოვნა.

3. წინამდებარე მუხლი ზიანს არ მიაყენებს მოთხოვნებისა და თანდართული დოკუმენტების თარგმნასთან დაკავშირებით არსებულ იმ დებულებებს, რომლებიც შესულია იმ შეთანხმებებსა და

სელშემკვერულებებში, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან რომლებიც შეიძლება დადებულ იქნას თრ ან

მეტ სელშემკვერელ მხარეს შორის.

მუხლი 20

კონვენციის გამოყენებისას გადაცემული ნებისმიერი სამხილი მასალა ან დოკუმენტები არ საჭიროებენ

დამოწმებას.

მუხლი 21

სამართალწარმოების ან აღსრულების სისრულეში მოყვანის მოთხოვნებზე დაწესებული ვადასახადის

ამონაგები გადაერიცნება ადგილსამყოფელ სახელმწიფოს, რომელიც თანხას საკუთარი შესვლულებისამებრ გამოიყენებს.

მუხლი 22

ადგილსამყოფელი სახელმწიფო უფლებამოსილია დანაშაულის ჩადენის სახელმწიფოს მოთხოვნით,

შეკრიბოს დანაშაულის ჩადენის სახელმწიფოში ჩატარებული გამოძიებისა და სასამართლო წარჩევის.

წარჩევის შეკრების შემთხვევაში ადგილსამყოფელი სახელმწიფო ვალდებულია დანაშაულის ჩადენის

სახელმწიფოს ანაზღაურის ექსპერტთა მიერ შესრულებული სამუშაოს საფასური.

მუხლი 23

ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ჩატარებული ძიებისა და აღსრულების წარჩევი არ ანაზღაურდება.

თავი V

დასკვნითი დებულებები

მუხლი 24

წინამდებარე კონვენციაში:

ა. „საგ ზათ დანაშაული ნიშნავს ნებისმიერ დანაშაულს, რომელიც ჩამოთვლილია წინამდებარე

კონვენციასთან თანდართულ საგ ზათ დანაშაულის საერთო სქემის უწყებაში;

ბ. „დანაშაულის ჩადენის სახელმწიფო“ ნიშნავს წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს,

რომლის ტერიტორიაზეც იქნა ჩადენილი საგ ზათ დანაშაული;

გ. „ადგილსამყოფელი სახელმწიფო“ ნიშნავს წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს,

სადაც ჩვეულებისამებრ იმყოფება საგ ზათ დანაშაულის ჩამდენი პირი;

დ. „საგ ზათ წესები“ აღნიშნავს წინამდებარე კონვენციის I დანართის _ „საგ ზათ დანაშაულის საერთო

სქემის“ 4-7 პუნქტებში მოცემულ წესებს.

ე. „განაჩენი“ მიუთითებს სასამართლო ხელისუფლების თრგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე,

მათ შორის სასჯელისა და ანაზღაურების ჩათვლით;

ვ. „ადმინისტრაციული გადაწყვეტილება“ მიუთითებს ზოგიერთ სახელმწიფოში, იმ ადმინისტრაციული

თრგანოს გადაწყვეტილებებზე, რომელიც უფლებამოსილია საგ ზათ დანაშაულთა გარკვეულ კატეგორიებზე დააწესოს კანონით დადგენილი ჯარიმები.

მუხლი 25

1. წინამდებარე კონვენციის დანართი „საგ ზათ დანაშაულის საერთო სქემა“ წარმოადგენს ამ კონვენციის შემადგენელ ნაწილს.

2. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან ვადაგ ზავნილი შეტყობინების მეშვეობით, შეუძლია აღნიშნოს ის საგ ზათ დანაშაულებები, რომლებიც

არ არის მოცემული I დანართში და რომლებთან მიმართებაშიც მას სურს წინამდებარე კონვენციის

გამოყენება ან რომლებიც მოცემულია I დანართში და რომელთა ამოღებაც მას სურს ასეთი

გამოყენებიდან, სხვა ხელშეშემდეგ მხარეებთან მის ურთიერთობებში.

3. ხელშეშემდეგ მხარის მიერ წინამდებარე კონვენციის I დანართში ახალი დანაშაულის შეტანის

შემთხვევაში სხვა ხელშეშემდეგ მხარეები საჭიროების შემთხვევაში შეატყობინებენ ევროპის საბჭოს

გენერალურ მდივანს მათი თანხმობის შესახებ. მათთან მიმართებაში ასეთი დამატებები შეიძლება

იქნას გამოყენებული, ასეთი შეტყობინებიდან სამი თვის შემდეგ.

4. კონვენციის ძალაში შესვლის დროს, წინამდებარე კონვენციის I დანართის უწყებაში ხელშეშემდეგ მხარის მიერ წარმოდგენილი დანაშაულის გაუქმების შემთხვევაში არსებული მუხლის

მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული შეტყობინება მიღებული იქნება, თუ ის კონვენციასთან ერთად

იყო ხელმოწერილი ან სარატოფიკაციო სიგელის დეპოზიტზე გადაცემის, დამტკიცებისა თუ მიღების

შემთხვევაში; ან იმ შემთხვევაში თუკი ის შემდგომშია შედგენილი და ევროპის საბჭოს

გენერალური

მდივანის მიერ სამი თვის განმავლობაში მისაღებად განიხილებოდა. ყველა ხელშეშემდეგ მხარეს

შეუძლია ნაცვალგების პრინციპით სარგებლობა.

5. ნებისმიერ ხელშეშემდეგ მხარეს შეუძლია განაცხადოს, რომ მისი შიდა კანონმდებლობის თანახმად,

მე-2 და მე-3 პუნქტების განცხადება დასამტკიცებლად უნდა გადაეგზავნოს მის საკანონმდებლო

ორგანოებს. ამ შემთხვევაში, ნებისმიერი დამატება I დანართში არ იმოქმედებს ამ

სახელმწიფოსათვის, მანამ ის არ აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომ ამ

ორგანოს

მიერ დამატებანი დამტკიცებულია.

მუხლი 26

წინამდებარე კონვენცია არ ზღუდავს ადგილსამყოფელი სახელმწიფოსთვის მისი მუნიციპალური კანონმდებლობით მინიჭებულ კომპეტენციას, გასამართლების ან/და სასჯელის აღსრულების

თვალსაზრისით.

მუხლი 27

1. თუ ერთი ან მეტი მხარე დაამყარებს თავის ურთიერთობებს ერთგვაროვან საკანონმდებლო ბაზაზე

ან სპეციალური გადაწყვეტილებით ნაცვალგებაზე, მათ მიეცემა შესაძლებლობა მოავგარონ თავიანთი ურთიერთობები ამ სისტემებზე დამყარებით, წინამდებარე კონვენციის დებულებების მიუხედავად.

2. ხელშეშემდეგ მხარეები, რომლებიც წინამდებარე მუხლის შესაბამისად გამოირიცხავენ წინამდებარე კონვენციის გამოყენებას მათ ურთიერთობებში, ამის თაობაზე ატყობინებენ

ევროპის

საბჭოს გენერალურ მდივანს.

მუხლი 28

ევროპის საბჭოს სისხლის სამართლებრივი პრობლემების ევროპის კომიტეტი ინფორმირებული იქნება

წინამდებარე კონვენციის გამოყენების თაობაზე და შეძლებისდაგვარად ხელს შეუწყობს კონვენციის

განხორციელებისას გამოწვეული ნებისმიერი სირთულის მეგობრულ გადაწყვეტას.

მუხლი 29

1. წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის. ის

ექვემდებარება რატიფიკაციას ან მიღებას. რატიფიკაციის ან მიღების შესახებ ინსტრუმენტები დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2. კონვენცია ძალაში შევა რატიფიკაციის ან მიღების შესახებ რიგით მესამე ინსტრუმენტების დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

3. ამ ხელისმომწერი სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც შემდეგ გაუკეთა რატიფიცირება ან მიიღო

წინამდებარე კონვენცია, ის ძალაში შევა რატიფიკაციის ან მიღების შესახებ ინსტრუმენტის გენერალურ მდივანთან დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 30

1. წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მოიწვიოს ევროპის საბჭოს ნებისმიერი არაწევრი სახელმწიფო, წინამდებარე კონვენციასთან

მისაერთებლად.

2. ასეთი მიერთება ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირების ვხით და ძალაში შევა დეპონირების დღიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 31

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების შესახებ

ინსტრუმენტის დეპონირების დროს შეუძლია განსაზღვროს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზეც ვაგვრცელდება წინამდებარე კონვენცია.

2. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის

დეპონირებისას ან მოგვიანებით ნებისმიერ დროს, შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის

სახელზე გაკეთებული განცადებით განავრცოს წინამდებარე კონვენციის მოქმედება ამ განცხადებაში

ჩამოთვლილ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი ან რომლის სახელითაც გამოსვალზე გააჩნია უფლებამოსილება.

3. წინა პუნქტის შესაბამისად გაკეთებულ განცადებაში ჩამოთვლილ ნებისმიერ ტერიტორიასთან

მიმართებაში განცხადების გამოყენება შეიძლება გაუქმდეს წინამდებარე კონვენციის 33-ე მუხლით

გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 32

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების შესახებ

ინსტრუმენტის დეპონირების დროს წინამდებარე კონვენციის II დანართის მიმართ შეუძლია გააკეთოს

ერთი ან მეტი დათქმა.

2. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს წინა პუნქტის

შესაბამისად მის მიერ გაკეთებული დათქმა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით, რომელიც ძალაში შევა მისი მიღების თარიღიდან.

3. ხელშემკვრელ მხარეს, რომელმაც წინამდებარე კონვენციის დებულებათა თანახმად გააკეთა დათქმა არ შეუძლია მოითხოვოს ამ დებულებათა გამოყენება ნებისმიერი სხვა მხარის მიერ; მეორეს

მხრივ, თუ ეს დათქმა ნაწილობრივი ან პირობითია, მას შეუძლია მოითხოვოს მისი გამოყენება ამ

ზომით რა ზომითაც მიღებულია მის მიერ.

4. ნებისმიერ ხელშეკრულ მხარეს შეუძლია ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების

შესახებ ინსტრუმენტის დეპონირებისას, აცნობოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომ ის მიიხსენებს კონვენციის რატიფიკირებას, მიღებას ან მიერთებას, როგორც საერთაშორისო სამართლით

დადგენილი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას, რათა მის მუნიციპალურ კანონმდებლობაში იმპლემენტირებულ იქნას წინამდებარე კონვენცია.

მუხლი 33

1. წინამდებარე კონვენცია ძალაში დარჩება განუსაზღვრელი ვადით.

2. ნებისმიერ ხელშეკრულ მხარეს თუ მას ასე სურს, შეუძლია წინამდებარე კონვენციის დენონსაცია

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანის სახელზე გაკეთებული შეტყობინების გზით;

3. დენონსაცია ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივანის მიერ ასეთი შეტყობინების მიღებიდან 6 თვის შემდეგ.

მუხლი 34

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და

ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მიუერთდა წინამდებარე კონვენციას:

ა. ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;

ბ. რატიფიკაციის მიღების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირების თაობაზე;

გ. 29-ე მუხლის თანახმად წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;

დ. ნებისმიერი შეტყობინების ან განცხადების შესახებ, რომელიც მიღებულია მე-15 მუხლის, მე-4

პუნქტის, მე-19 მუხლის, მე-2 პუნქტის, 25-ე მუხლის, მე-2,3,4,5 პუნქტებით, 27-ე მუხლის, მე-2 პუნქტის და 32 მუხლის მე-4 პუნქტის დებულებების თანახმად.

ე. ნებისმიერი განცხადების შესახებ, რომელიც მიღებულია 31-ე მუხლის, მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებების თანახმად.

ვ. ნებისმიერი დათქმის შესახებ, რომელიც გაკეთებულია 32-ე მუხლის 1 პუნქტის დებულებების თანახმად;

ზ. ნებისმიერი დათქმის გაუქმების შესახებ, რომელიც კეთდება 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების თანახმად.

თ. ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომელიც გაკეთებულია 33-ე მუხლის დებულებების თანახმად და

იმ თარიღის შესახებ, როდესაც დენონსაცია ძალაში შევიდა.

მუხლი 35

წინამდებარე კონვენცია, შეტყობინებები და განცხადებები ხელშეკრული მხარეების მიერ გამოიყენება

მხოლოდ საგზაო მოძრაობის წესების იმ დარღვევის შემთხვევაში, რომლებიც განხორციელდა ამ

მხარეებისათვის კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ.

ამის დასტურად ქვემოთ ხელისმომწერნი, ამაზე შესაბამისად უფლებამოსილნი ხელს აწერენ წინამდებარე კონვენციას.

შედგენილია სტრასბურგში 1964 წელს 30 ნოემბერს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე ერთ ასლიად და

თრივე ტექსტი ავთენტურია, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს

გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს ყოველ წელმომწერს და მიერთებულ სასემწიფოს.

დანართი 1

საგ ზაო წესების დარღვევის ზოგადი ცხრილი

1. გ ზებზე დამდგარი სიკვდილის შედეგი ან გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანი.
2. „დარტყმის და გაქცევის“ მეთოდით ტარება ანუ განზრახ დაუმორჩილებლობა იმ ვალდებულებების მიმართ, რაც ეკისრებათ სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლებს, როდესაც ისინი

საგ ზაო შემთხვევის მონაწილეები ხდებიან.

3. ავტომანქანის მართვა:

- ა. ინტოქსიკაციის ან ალკოჰოლის გავლენის ქვეშ;
 - ბ. ნარკოტიკული ან მსგავსი ეფექტის მქონე საშუალებების გავლენის ქვეშ;
 - გ. უაღრესი გადაღილილობის გამო, შეუსაბამო მდგომარეობაში.
4. ავტომობილის მართვა, რომელიც არარის მე-3 მხარის მიერ დაზღვეული იმ ზიანის მიმართ, რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნას ამ სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით.
5. პოლიციის მიერ მიცემულ ინსტრუქციასთან შეუსაბამობა საგ ზაო მოძრაობასთან დაკავშირებით.

6. შეუთავსებლობა იმ წესებთან, რომლებიც დაკავშირებულია:

- ა. ავტომობილის სიჩქარესთან;
- ბ. სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობა და მიმართულებასთან მოძრაობაში, საპირისპირო მოძრაობის ტრანსპორტის შესვენრასთან, ტრანსპორტის გასწრებასთან, მიმართულების შეცვლასთან

და გადასასვლელებზე მოძრაობასთან.

გ. გ ზის დათმობასთან

დ. მოძრაობის უპირატესობანი ზოგიერთი სახის ტრანსპორტისათვის, როგორცაა სახანძრო მანქანები,

სასწრაფო დახმარების მანქანები და პოლიციის მანქანები.

დ. ნიშნებითან, მითითებებთან და საგ ზაო აღნიშვნებთან, განსაკუთრებით ნიშანი „ხდევ“

ე. ტრანსპორტის გაჩერებასთან და შეჩერებასთან;

ვ. სატრანსპორტო საშუალების ან სატრანსპორტო კატეგორიების დაშვებასთან გარკვეულ გ ზებზე

მაგ. მათი წონის და ზომის გათვალისწინებით;

ზ. უსაფრთხოების საშუალებებთან ტრანსპორტისა და ტვირთისათვის;

თ. სატრანსპორტო საშუალებებისა და ტვირთისა განმასხვავებელ ნიშნებთან (დანაშვანსთან)

ი. სატრანსპორტო საშუალებების გამანათებელ საშუალებებთან და განათების გამოყენებასთან.

კ. სატრანსპორტო საშუალებების ტვირთისა და თავსებასთან.

ლ. სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციასთან, სარეგისტრაციო სანთმრო ნიშნებთან და ერთგულ ნიშნებთან.

7. ძალაში მყოფი მართვის მოწმობის გარეშე მართვა.

დანართი 2

1. ნებისმიერმა კონტრაქტორმა მხარემ შეიძლება განაცხადოს, რომ იგი იტოვებს უფლებას:

ა. რომ არ მიიღოს მე-3 თავი ან მიიღოს იგი მხოლოდ სასჯელის ან აღსრულების ზომების გარკვეულ კლასებთან მიმართებაში;

ბ. არ მიიღოს მუხლი 6 ან მიიღოს ამ მუხლის მხოლოდ გარკვეული დებულებები.

2. ნებისმიერმა წელშემკვერელმა მხარემ შეიძლება განაცხადოს, რომ კონსტიტუციური კანონმდებლობიდან გამომდინარე მიზეზების გამო, მას შეუძლია მიიღოს მითხროვნები სამართალწარმოებაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომლებიც მითითებულია მის მუნიციპალურ კანონმდებლობაში.